

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი; თანამდებობრივი სარგო-1280 ლარი.

ფუნქციები:

-ახორციელებს და ორგანიზაციას უკეთებს სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულებას, განსაზღვრავს მათი განვითარების პერსპექტივებს, ირჩევს მეთოდებსა და საშუალებებს კვლევების ჩასატარებლად, ლაბორატორიისთვის წარდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად, კერძოდ:

- ჩოხრალსკის მეთოდით ნახევარგამტარული მონო- და პოლიკრისტალური მასიური Si, Ge და Si-Ge შენადნობების მიღება, მათი ფუძემშრეების შექმნა და კვლევა.

- ნახევარგამტარულ Si-Ge ფუძემშრეებზე ექსპერიმენტული მზის ელემენტებისა და ინფრაწითელი გამოსხივების ახლო დიაპაზონის ფოტოდეტექტორების შექმნა, მათი ელექტროფიზიკური, მექანიკური, ოპტიკური მახასიათებლების კვლევა და ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია.

- დაბალტემპერატურული თერმოელექტრული მინიმაცივისა და მინიგენერატორის პროტოტიპების შექმნა და მათი თერმოელექტრული მახასიათებლების კვლევა;

- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ლაბორატორიის ამოცანების გადასაჭრელად;

- ლაბორატორიის კომპეტენციის ფარგლებში საექსპერტო სამუშაოები.

- ამუშავებს და წარუდგენს წინადადებებს ინსტიტუტის დირექტორს და სამეცნიერო საბჭოს ლაბორატორიის პერსპექტიული პროექტების და წლიური გეგმების, ქვედანაყოფის განვითარების, სკს გაუმჯობესების შესახებ;

-ახორციელებს ურთიერთობას პოტენციურ შემკვეთებთან ტექნიკურ საკითხებზე სკს-ის შესასრულებლად;

-ხელმძღვანელობს ტექნიკური დავალების, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, სამუშაოთა კალენდარული გრაფიკის შემუშავებას;

-წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს დაგეგმილ სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელ (ლაბორატორიის, ინსტიტუტის პირადი შემადგენლობიდან) პირთა სიას;

-პირადად მონაწილეობს სკს-ის შესარულებაში, აკონტროლებს თანამონაწილეების მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხს;

-ამზადებს საანგარიშო დოკუმენტაციას შესრულებულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სამუშაოებზე.

ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის

კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;

3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;

4. კონკურსსანი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე ([xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge)) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება ([განცხადების ფორმა](#))
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: [xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge) 2021 წლის 25 ნოემბრის 10 საათიდან 30 ნოემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 01 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

ხათუნა ლომიძე

ტელეფონი 599959913